

შპს ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანი ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ...	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. მარაგები	9
6. ძირითადი საშუალებები	10
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
8. მოკლევადიანი სესხები.....	11
9. საწესდებო კაპიტალი	11
10. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	11
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	11
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი.....	12
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	10,011	19,136
სავაჭრო მოთხოვნები		16,850	17,998
გადახდილი ავანსები		5,268	36,638
მარაგები	5	107,918	535,679
სხვა მიმდინარე აქტივები		54,056	104,490
სულ მოკლევადიანი აქტივები		194,103	713,941
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	10,109	1,004,809
არამატერიალური აქტივები		29,759	33,274
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,868	1,038,083
მთლიანი აქტივები		233,971	1,752,024
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	961,284	910,052
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		4,173	20,626
საგადასახადო ვალდებულებები		794	-
მოკლევადიანი სესხები	8	254,868	301,670
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,221,119	1,232,348
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	2,171,291	2,070,297
გაუნაწილებელი ზარალი		(3,158,439)	(1,550,621)
სულ საკუთარი კაპიტალი		(987,148)	519,676
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		233,971	1,752,024

დირექტორი



აჰმეტ ჰაითაოღლუ


მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	336,780	2,383,336
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(491,801)	(859,175)
საერთო მოგება		(155,021)	1,524,161
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6	(309,110)	(340,463)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(370,025)	(1,479,219)
საოპერაციო ზარალი		(834,156)	(295,521)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(146,857)	(43,720)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(626,805)	(22,527)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,607,818)	(361,768)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(1,607,818)	(361,768)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი		2,167,406	(1,188,853)	978,553
წმინდა ზარალი		-	(361,768)	(361,768)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	9	(97,109)	-	(97,109)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი		2,070,297	(1,550,621)	519,676
წმინდა ზარალი		-	(1,607,818)	(1,607,818)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	9	100,994	-	100,994
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		2,171,291	(3,158,439)	(987,148)

დირექტორი



აჰმეთ ჰაითაოღლუ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	10,011	19,136
სავაჭრო მოთხოვნები		16,850	17,998
გადახდილი ავანსები		5,268	36,638
მარაგები	5	107,918	535,679
სხვა მიმდინარე აქტივები		54,056	104,490
სულ მოკლევადიანი აქტივები		194,103	713,941
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	10,109	1,004,809
არამატერიალური აქტივები		29,759	33,274
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,868	1,038,083
მთლიანი აქტივები		233,971	1,752,024
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	961,284	910,052
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		4,173	20,626
საგადასახადო ვალდებულებები		794	-
მოკლევადიანი სესხები	8	254,868	301,670
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,221,119	1,232,348
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	2,171,291	2,070,297
გაუნაწილებელი ზარალი		(3,158,439)	(1,550,621)
სულ საკუთარი კაპიტალი		(987,148)	519,676
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		233,971	1,752,024

დირექტორი -----

აჰმეტ ჰაითაოღლუ

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	336,780	2,383,336
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(491,801)	(859,175)
საერთო მოგება		(155,021)	1,524,161
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6	(309,110)	(340,463)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(370,025)	(1,479,219)
საოპერაციო ზარალი		(834,156)	(295,521)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(146,857)	(43,720)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(626,805)	(22,527)
ზარალი დაბეგვრამდე მოგების გადასახადი		(1,607,818)	(361,768)
წმინდა ზარალი		(1,607,818)	(361,768)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი		2,167,406	(1,188,853)	978,553
წმინდა ზარალი		-	(361,768)	(361,768)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	9	(97,109)	-	(97,109)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი		2,070,297	(1,550,621)	519,676
წმინდა ზარალი		-	(1,607,818)	(1,607,818)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	9	100,994	-	100,994
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		2,171,291	(3,158,439)	(987,148)

დირექტორი -----

აჰმეტ ჰაითაოღლუ

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეოთურ კაფეტერია ენდ ფუდ კომპანი დაფუძნდა 2015 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზ., #37დ, ბ. 15. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405130255. კომპანიის მფლობელია შემდეგი ორი ფიზიკური პირი:

თეომან ჯირით, თურქეთი (31996038470, U 01177188) – 25%

აჰმეთ ჰაითაოღლუ, თურქეთი (U14354390, U00337957, 27430927486) – 75%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო მომსახურება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი აჰმეთ ჰაითაოღლუ, თურქეთი (U14354390, U00337957, 27430927486), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 75% წილის მფლობელიც.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

COVID-19-ის პერიოდში სარესტორნო ბიზნესმა განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მომხმარებლების რაოდენობის შემცირების გამო, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა კომპანიის რეალიზაცია. თუმცა მენეჯმენტმა გაატარა კონტრ-ღონისძიებები, გააკეთა პროგნოზი და შესაბამისი ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-8
სხვა ძირითადი საშუალებები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება

გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

3.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2020	31-12-2019
ნაღდი ფული სალაროში	14	10,043
ფული საბანკო ანგარიშებზე	9,997	9,093
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	10,011	19,136

5. მარაგები

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული, რომლითაც მზადდება მზა პროდუქცია. ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება როგორც საქართველოში, ასევე იმპორტის გზითაც. იმპორტირებული პროდუქტი არის ნახევარფაბრიკატის სახის და ადგილზე გარდაიქმნება მზა პროდუქციად.

6. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	726,750	-	726,750	-
მანქანა-დანადგარები	419,462	3,818	384,708	38,572
ოფისის აღჭურვილობა	72,027	3,287	75,314	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	528,833	1,726	518,702	11,857
სატრანსპორტო საშუალება	15,086	254	15,340	-
სხვა ძირ. საშუალებები	24,566	-	24,566	-
სულ	1,786,724	9,085	1,745,380	50,429

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის ცვეთა	332,108	121,125	453,233	-
მანქანა-დანადგარების ცვეთა	281,303	73,651	318,784	36,170
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	33,157	12,541	45,698	-
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	126,527	89,327	211,704	4,150
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	5,135	4,858	9,993	-
სხვა ძირ. საშუალებების ცვეთა	3,685	4,095	7,780	-
სულ	781,915	305,597	1,047,192	40,320

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 309,110 ლარი შედგება ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯისგან 305,595 ლარის ოდენობით და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯისგან 3,515 ლარის ოდენობით.

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-2020	31-12-2019
მასალისა და ნედლეულის უცხოელი მომწოდებლები	879,501	760,415
სხვა მომწოდებლები	81,783	149,637
სულ სავაჭრო ვალდებულებები	961,284	910,052

8. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	31-12-2020	31-12-2019
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	254,868	217,011
ბანკებისგან ნასესხები თანხები	-	84,659
სულ მოკლევადიანი სესხები	254,868	301,670

9. საწესდებო კაპიტალი

2019 წელს მოხდა დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება 97,109 ლარის ოდენობით. 2020 წელს კი მოხდა საწესდებო კაპიტალის ზრდა 100,994 ლარის ოდენობით.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის სარესტორნო საქმიანობა. კომპანია ფუნქციონირებს რამდენიმე ლოკაციაზე თბილისის მასშტაბით. კომპანიის სპეციალიზაციაა ნაყინებისა და ტკბილეულობის რეალიზაცია.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ნედლეულს ყიდულობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე იმპორტით. იმპორტირებული პროდუქტი წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს და ადგილზე ხდება მათი მზა პროდუქციად გადაქცევა. წარმოება ხორციელდება საკუთარი ძალებით. აღნიშნული ნედლეულის ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 წლის ხარჯების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს იჯარის ხარჯი, რომელიც შედგება სარესტორნო ფართის იჯარისა და საწყობების იჯარის თანხისგან და განისაზღვრება 158,709 ლარით, ასევე მნიშვნელოვანი ხარჯია კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები (45,393 ლარი) და მიწოდების ხარჯები (37,101 ლარი). ადმინისტრაციულ ხარჯებში ასევე შედის საბანკო, დაზღვევის, სამეურნეო და სხვა ხარჯები.

13. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი	31-12-2020	31-12-2019
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	603,715	-
სხვა ხარჯი	23,089	22,527
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	626,804	22,527

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1 სესხები

2020 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლებისგან, რომელთა ჯამურმა ბალანსმა 2020 წლის ბოლოს შეადგინა 254,868 ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოს 217,011 ლარი.

14.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ 15,464 შეადგინა ლარი, ხოლო 2019 წელს 30,034 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.